<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ქირურგის, საზოგადო მოღვაწე ივან პრიბილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩას მიენიჭოს ქირურგის, საზოგადო მოღვაწე ივან პრიბილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:486652 Y:4614033
X:487022 Y:4613973
N
1:1,500

ივანე პრიბილი
(1782-1867)
საზოგადო მოღვაწე, მედიცინის დოქტორი, ქირურგი

ივანე ანტონინის ძე პრიბილი იყო XIX საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე და ცნობილი ექიმი, მედიცინის დოქტორი, ქირურგი.

იან პრიბილი დაიბადა 1782 წლის 14 სექტემბერს ქალაქ იიჩინ-ში ანა შტერბოვასა და ანტონინ ბრიბილის ოჯახში.

მან განათლება ჯერ პრაღაში 1799 – 1802 წლებში სწავლობდა კარლ-ფერდინანდის პრაღის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ ფაკულტეტზე 1802–1804 წლებში სწავლობდა იმავე უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე,ვენაში მიიღო, აქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

ვენაში, რუსეთის საელჩოში გააფორმა კონტრაქტი რუსეთში სამხედრო ექიმად მუშაობაზე, ამის შემდეგ სამუშაოდ რუსეთში გაემგზავრა. რუსეთში სამხედრო ექიმად მსახურობდა, შემდეგ კი, პირველ პოლკთან ერთად, საქართველოში მოავლინეს. თბილისში 1808 წელს ჩამოვიდა და საბოლოოდ აქ დარჩა – თბილისის სამხედრო ჰოსპიტლის ერთ-ერთ დამაარსებლადაც იქცა.

ივან პრიბილის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ბალნეო-კლიმატურ (ახტალა, ბორჯომი, აბასთუმანი) სიმდიდრეთა ათვისება. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ კურორტოლოგიას. მანვე დააარსა თბილისში პირველი სამხედრო ჰოსპიტალი, რომლის მთავარი ექიმიც თავად იყო, იყო კავკასიის სამედიცინო საზოგადოებისა და პეტერბურგის ექიმთა საზოგადოების საპატიო წევრი, შავი ჭირისა და ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიის თავმჯდომარე. ი. პრიბილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან, მკურნალობდა

გრიბოედოვს, კარგად იცოდა ქართული ენა. საქართველოში მან 50-წელზე მეტი გაატარა და გარდაიცვალა 85 წლის ასაკში.

პრიბილი „ქართული მედიცინის ისტორიის“ წიგნშია შესული.

თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას

ივანე პრიბილი (1782-1866), ეროვნებით ჩეხი, მედიცინის დოქტორი, ქირურგი, საზოგადო მოღვაწე. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული მედაცინის განვითარებაში. ი.პრიბილი (Ian Přibyl) დაიბადა ჩეხეთში. განათლება ჯერ პრაღაში და შემდეგ ვენაში მიიღო. საქართველოში ჩამოვიდა 1812 წელს. ამავე წელს მან ცოლად შეირთო ქართველი ექიმების ოჯახის შვილი ეკატერინე ყარაშვილი. 1819 წელს თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის მთავარ ექიმად დანიშნეს. თბილისში იგი ცნობილი იყო როგორც გამოცდილი ექიმი-პრაქტიკოსი. მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახთან, მკურნალობდა ა.გრიბოედოვს, კარგად იცოდა ქართული ენა. ი.პრიბილი არა მარტო დიდი კლინიცისტი, არამედ ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო, წლების მანძილზე შავი ჭირისა და ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლის კომისიას თავმჯდომარეობდა, კავკასიის სამედიცინო საზოგადოების ერთ-ერთი ფუძემდებელია და ნამდვილი წევრი. მის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ბალნეო-კლიმატურ (ახტალა, ბორჯომი, აბასთუმანი) სიმდიდრეთა ათვისება. მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ კურორტოლოგიას, რომლის ფუძემდებლად არის აღიარებული. განსაკუთრებულია მისი როლი ბორჯომის როგორც კურორტის მშენებლობაში და ბორჯომის მინერალური წყლების პოპულარიზაციაში. ი.პრიბილი გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ უკვე XIX საუკუნის 60-იან წლებში ქუჩას სადაც ცხოვრობდა ი. პრიბილი მისი სახელი დაერქვა (დატანილია თბილისის 1895 წლის რუკაზე). 1923 წელს ბაღდათის ქუჩა ეწოდა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ივანე პრიბილს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მედიცინის წინაშე. სასურველად მიგვაჩნია მისი სახელის უკვდავსაყოფად თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი.

პატივისცემით

თამაზ გერსამია

საქართველოში ჩეხთა სათვისტომოს
პრეზიდენტი

e-mail: t.gersamia@gmail.com

მობ. 592 – 03 – 03 – 95

17.05.2021 წ.

წერილის ნომერი: **03-032215230**
თარიღი: **01/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საქართველოში ჩეხთა სათვისტომიოს პრეზიდენტის თამაზ გერსამიას 2021 წლის 18 მაისის საქმე #19/032113857-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩისთვის ივანე პრიბილის სახელის მინიჭებას..
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ივანე პრიბილის ქუჩის (ვალერი ჩკალოვის ქუჩა) სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122159227**
თარიღი: **08/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.06.2022 წლის #03-032215230 (01.06.2022წ. #14-01221521928-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი